პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 თებერვალი ხუთშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 34 (15247)

პირველ დღეებიდან შევასრულოთ ვალდებულება

გაქარჯვებულნი

ბათუმი, 9 თებერვალი. (საკდესი). აქ მოვიდა ცნობა, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის მეოთხე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით ბათუმის ხორცკომბინატის კოლექტივმა პირველი ადგილი დაიკავა. მას მიენიჭა სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და კავშირ მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. შრომის მაღალი შეფასებით აღფრთოვანებულმა ხორცკომბინატის კოლექტივმა კიდევ უფრო ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება 1972 წლის დავალებათა და მთლიანად ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა ბორჯომის ხორცკომბინატის კოლექტივს.

განრიგის დაცვით

რუსთავი. (საკ. კორ.). ვადამდე შევასრულოთ მეცხრე ხუთწლედი, — ასეთი პირობა დადეს მეტალურგიული ქარხნის ელექტროშემკეთებელი საამქროს მშრომელებმა. დაპირების გასანაღდებლად ფართოდ გაიშალა შეჯიბრება. ელექტრიკოსებმა იანვარში განრიგის სრული დაცვით და მაღალხარისხოვნად შეაკეთეს № 1 ბრძმედი, ხაგლინავ დგან „1000“-ის მთავარი ამძრავი, საავგლომერაციო ფაბრიკის 2.000-კილომეტრიანი და კოქსქიმიური საამქროს 1100-კილოვატიანი ძრავები და აგრეგატები.

ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი შემონტაჟეებმა გ. მაჩიტაძემ, ვ. გორელიშვილმა, ი. ფერაძემ, გ. ჩაჩხიანმა.

ფეიქრებმა ტემპს უმატეს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა ხუთწლედის მეორე წლის დამდეგიდანვე უმატა შრომის ტემპს და პირველი გამარჯვებაც მოიპოვა — იანვარში აქ 118 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს და 119 ათასი მანეთით გადააჭარბეს რეალიზაციის მოცულობის დავალებას.

ფეიქრებმა ასორტიმენტის მიხედვითაც უწრუნველყვეს სახელმწიფო გეგმების შესრულება. გეგმის გადამეტებით გამოუშვეს მზა შალის ქსოვილები, შალის საბნები და ნარი. კიდევ უფრო გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი. პირველი ხარისხის შალის ქსოვილების გამოშვებამ გეგმით გათვალისწინებული 93,8 პროცენტის ნაცვლად 94,1 პროცენტი შეადგინა.

დამკვრელურ შრომითს ვახტზე განსაკუთრებით დაწინაურდა სართავი საამქროს კოლექტივი (უფროსი შ. ღიბრაძე).

კომუნისტების თვითგანათლება

ბალხი ამბობს: გონება უწიგნოდ — უფრთო ფრინველია; სახლი, რომელშიც წიგნი არ არის, ემსგავსება იმ სხეულს, რომელშიც სული არ არის; წიგნს იკითხავ — ყველაფერი გეცოდინება; ოქროს იღებენ მიწის წიაღიდან, ცოდნას — წიგნებიდან; კითხვა ყველაზე კარგი სწავლაა.

და, მართლაც, როგორც დიდი ლენინი გვასწავლიდა, „წიგნი უდიდესი ძალაა“. კომუნისტების იდეური წრთობა ჩვენი პარტიული რიგების ბრძოლისუნარიანობის გადიდების აუცილებელი პირობაა, — აღნიშნა პარტიის XXIV ყრილობამ, — კომუნისტთა, ყველა შრომელთა მარქსისტულ-ლენინური განათლება დიდი საქმეა თავისი იდეურ-პოლიტიკური მნიშვნელობით.

პარტიული განათლების ქსელის ყველა რგოლში კომუნისტები და უპარტიოები ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ლენინის დიად მემკვიდრეობას. ისინი თეორიულ და პრობლემურ სემინარებში, სახალხო უნივერსიტეტებში სწავლობენ კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიას, მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, იძენენ ეკონომიურ განათლებას.

ფართო მასები და, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტები გულმოდგინედ მუშაობენ იმისათვის, რომ იცოდნენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, ნათლად ერკვეოდნენ მეცხრე ხუთწლედის ამოცანებში, მართვის პრობლემებში, რომლის ცოდნა აუცილებლად სჭირდება ყოველ მუშას, ინჟინერს, დახლის მუშაკს, მემანქანეს, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ აქტივისტებს.

როგორც წესი, წიგნზე მუშაობა ორგანიზებულად მიმდინარეობს პარტიული განათლების ქსელში, რომელიც უზრუნველყოფილია გამოცდილი, კარგად მომზადებული პროპაგანდისტებით, კონსულტანტებით, პოლიტიკური ლიტერატურით, საჭირო დოკუმენტებითა და მასალებით.

ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან პარტიის რაიონული, საქალაქო, და ხაოლქო პარტიული ორგანიზაციები, პარტიულ კომიტეტებთან არსებული პოლიტიკური განათლების სახლები და პარტიული კაბინეტები.

პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტთან შექმნილია მუდმივმოქმედი ლექტორიუმი. აქ ამას წინათ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად მოეწყო სამეცნიერო სესია თემაზე: „პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები და მათი შესწავლის საკითხები“. კონსულტანტებმა და პოლიტიკური თვითგანათლებისათვის წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ვ. პავლიაშვილისა და ნ. ხომასურიძის თეორიულ-მეთოდური მოხსენებები.

პოლიტიკოსებმა, ეკონომიურ და პრობლემურ სემინარებში მეცადინეობა, პროგრამით გათვალისწინებული მასალის ათვისება უფრო მიზანსწრაფული იქნება თუ ამ გზით მიღებულ ცოდნას გავალრმავებთ და განვავითარებთ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობით.

კომუნისტური პარტია თავის წევრებს მუდამ შთააგონებს, რომ რევოლუციური თეორიის დაუფლების მთავარი მეთოდია წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ პოლიტიკოსში ცოდნას იძენ გარკვეული პროგრამით, ამას არ უნდა დასჯერდე. უნდა დაეუფლო წიგნზე, ძირითად წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს, სხვის დაუხმარებლად, სწორედ დამოუკიდებლად გაიფართოო ცოდნის ჰორიზონტი.

კომუნისტი მუდამ უნდა იყოს მასების ავანგარდში, მათი წინამძღოლი. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ვალდებულია ბევრი რამ იცოდეს, იცნობდეს ცხოვრების მთელ მიმდინარეობას, მის სინამდვილეს. ამას ცოდნა ჰქვია. ცოდნას კი იფაროლებს წიგნებთან მეგობრობა. მარქსიზმის კლასიკოსებს ეკუთვნით შთამაგონებელი სიტყვები, წიგნი ცოდნის წყაროაო. მათ ათიერთხელ მიუთითებიათ, რომ წიგნი უბრალო გასართობი კი არ არის, არამედ ცხოვრებან, ადამიანთა ცოდნის გაფართოების იარაღია.

კომუნისტმა ღრმად უნდა იცოდეს რევოლუციური თეორიაც და ეკონომიური პრობლემებიც, მართვაც და მისი სრულყოფის გზებიც. ის ამ ამოცანის შესრულებას იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ ბეჯითად მოჰკიდებს ხელს პოლიტიკური, ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, მხატვრული და სხვა სახის წიგნების შესწავლას. რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში ბევრგან კომუნისტები ნაყოფიერად მუშაობენ წიგნზე, სისტემატურად იმაღლებენ ცოდნის დონეს. მათ აქვთ საკუთარი ბიბლიოთეკაც, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ საერთო ბიბლიოთეკების, პოლიტიკური განათლების სახლების, პარტიული კაბინეტების მდიდარი წიგნის ფონდით.

წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მრავალი დადებითი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგრამ ამ შემთხვევაში დავასახელებთ სოციალისტური შრომის გმირებს არსენ კობაიძეს და იოსებ ხაზარაძეს. პირველი წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავჯდომარეა, ხოლო მეორე ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამმართველთა ბრიგადირი. ისინი ცნობილნი არიან თავიანთი შრომითი საქმეებით. ასევე მისაბაძია მათი დამოკიდებულება წიგნისადმი. ა. კობაიძისა და ი. ხაზარაძის პირადი ბიბლიოთეკები მრავალფეროვანია, ისინი მეგობრობენ წიგნებთან.

მიმდინარე ხუთწლედით დასახული გრანდიოზული ამოცანები ითვალისწინებენ არა მარტო გიგანტური ფაბრიკებისა და ქარხნების, ელექტროსადგურებისა და რძემეფლების აშენებას, არამედ ახალი ადამიანების აღზრდას, რომლებიც რევოლუციურ თეორიას. მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს რომ ფლობენ. მიღებულ ცოდნას იყენებენ პრაქტიკულ ცხოვრებაში. ეს არც გასაკვირველია, ვინაიდან კომუნისტები დგანან ცხოვრების ცენტრში, ტრიალებენ მასების შუაგულში. სადაც უნდა შეასრულონ ავანგარდის როლი.

მარქსიზმ-ლენინიზმი არის მარად ცოცხალი, სამყაროს რევოლუციურად გარდამქმნელი მოძღვრება. იგი დიდი ხანია დაეუფლა მილიონობით მასების გულსა და გონებას. ის, როგორც მზის სხივი, ვრცელდება მთელ ჩვენს პლანეტაზე.

რა თქმა უნდა, მარქსიზმის, ლენინის დიადი იდეების გავრცელების გზა ია-ვარდით როდია მოფენილი. არის ბურუსუზიული, რევიზიონისტული და, საერთოდ, ჩვენდამი მტრულად განწყობილი იდეოლოგია, რომელიც ცდილობს შემოაღწიოს ჩვენს რიგებში. გავლენა მოახდინოს ადამიანებზე, რომლებიც კომუნიზმს აშენებენ. ამ მტრული იდეოლოგიის გავლენისაგან კომუნისტმა უნდა დაიცვას თავისი თავიც და მასებიც; ეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. როცა გამოწრთობილია კომუნისტის, ყველა შრომელის მსოფლმხედველობა, მაშინ გამორიცხულია ჩვენდამი მომართული მტრული იდეოლოგიის გავლენა.

პოლიტიკური განათლების საქმეს რომ უზრუნველყოფენ, პარტიული კომიტეტები უნდა დაინტერესდნენ კომუნისტების პოლიტიკური თვითგანათლების. მათი წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის საკითხებით. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთათვის ბევრი რამ უნდა გააკეთონ პოლიტიკური განათლების სახლებმა, პარტიულმა კაბინეტებმა და მათმა კონსულტანტებმა. სასურველია ეწყობოდეს ლექციების ციკლი თანამედროვე საზოგადოებაში, ახალი ადამიანის იდეურ წრთობაში წიგნსა და მის როლზე.

კომუნისტებს მუდამ უნდა ახსოვდეთ ჩვენი პარტიის საწესდებო მოვალეობა: ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იმაღლებდნენ იდეურ დონეს, ხელს უწყობდნენ კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებასა და აღზრდას. ამას რომ მივაღწიოთ, უნდა ვიმეგობროთ წიგნთან, რომელსაც დიდი ძალა აქვს. უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა პოლიტიკური თვითგანათლების ძირითადი მეთოდია.

საბჭოთა მთავრობის მოწვევით

სპპკ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით ამა წლის 10 თებერვალს მოსკოვში ჩამოდის ერაყის რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილე, ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სადამ ჰუსეინი.

თავი ისახელეს

საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობის დელეგატები

ბათუმის ქარხანა ელექტროხელსაწყოში კარგად ცნობილია კომკავშირელ მერი ცინარიძის სახელი. იგი საწარმოს ერთ-ერთი მოწინავე გადამხვევია. ქარხანა ლაბორატორიის ავტოტრანსფორმატორებს შეავებს. მერი ცინარიძე ამ ავტოტრანსფორმატორების კოჭების დახვევაზე მუშაობს. ყოველდღიურად იგი 37-ის ნაცვლად 50-55 კოჭს ახვევს.

მოწინავე მუშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. ამ დღეებში იგი ბათუმის ქალაქკომის კომკავშირის ბიუროს წევრად აირჩიეს. იგი პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის წევრია. პროფკავშირების რესპუბლიკურ ყრილობაზე მერი საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

სურათზე: მარცხნივ — მოწინავე გადამხვევი მერი ცინარიძე.

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობის დელეგატია ქართველი მეწაღეების სახელოვანი გვარდიის წარმომადგენელი მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი ძლევდია ნაცვალაძე. ეს რიგითი მეჩაიე უკვე აგრონომი გახდა. მას მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. კლავდია ნაცვალაძე კოლმეურნეობის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეა.

სურათზე: ქვემოთ — კლავდია ნაცვალაძე (ცენტრში) ესაუბრება კოლმეურნეობის მეჩაიეებს.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

მოსკოვში მიმდინარე წლის 9 თებერვალს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს მ. ვ. კელდიშის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა 1972 წლის ლენინური პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომები.

იმ ნაშრომთა სია, რომლებიც კომიტეტის პლენუმმა კონკურსში მონაწილეობისათვის წარადგინა, გამოქვეყნდება ხუთშაბათს დღეებში „იზვესტიაში“.

◆

მოსკოვში ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სესია.

კანდიდატურების გაცნობისა და განხილვის შემდეგ კომიტეტი შეარჩევს ნამუშევრებს 1972 წლის ლენინური პრემიების მისანიჭებლად კონკურსში შემდგომი მონაწილეობისათვის. (საკდესი).

ოთხთაღოვანი სასოფლო-სამეურნეო

შეიქმნა ალანინის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. იგი ჩვენი ქვეყნის 99-ე სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებელია.

მოწამთმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტეგრაციისა და ფართო პროგრამა სოფლის პროფესიების სულ უფრო მეტ სპეციალისტს მოითხოვს. მიმდინარე სასწავლო წელს ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც კადრებს უმზადებენ სოფელს სწავლობს 370 ათასზე მეტი სტუდენტი. 1970 წელს ამ ინსტიტუტებმა გამოუშვეს 58 ათასი აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ინჟინერი, სხვა პროფესიების სპეციალისტი.

ანგოლელ პატრიოტთა წარმატებანი

პარიზი. 9 თებერვალი. (საკდესი). ანგოლელმა პატრიოტებმა გათავისუფლეს 500 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია, ესე იგი მთელი ქვეყნის მესამედი.

ეს განაცხადა ჟურნალ „ეიონ აფრიკის“ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის სამხედრო-პოლიტიკური საკოორდინაციო კომიტეტის წევრმა იკო კარეირამ. პორტუგალიელი დამსჯელნი, აღნიშნა მან, პატრიოტთა საბრძოლო ქვედანაყოფების დარტყმების გამო იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ გამაგრებული პუნქტები ამ ტერიტორიაზე.

განთავისუფლებულ რაიონებში, ხაზგასმით აღნიშნა კარეირამ, ძველი კოლონიური სტრუქტურების ნაცვლად „ვქმნით ახალ საზოგადოებას, რომელსაც საფუძვლად უდევს სამართლიანობა.

ზეგავლენას ახდენენ პანამაზე

ნიუ-იორკი. 9 თებერვალი. (საკდესი). ვაშინგტონში მიმდინარე **ამერიკა-პანამის მოლაპარაკება პანამის არხის თაობაზე ახალი ხელშეკრულების დადებისათვის ჩიხში მოექცა იმასთან დაკავშირებით, რომ შეერთებული შტატები აშკარად იმპერიალისტურ პოზიციას ადგას.**

თუ უახლოეს ხანში ვითარება მოლაპარაკებაზე არ შეიცვალა, „პანამის დელეგაცია უარს იტყვის მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე“, — იუწყება ქალაქ პანამიდან იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს „ადგილობრივი მთავრობის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებს“.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატია აძალიერებს ზეგავლენას პანამაზე, ცდილობს თავს მოახვიოს ახალი შეთანხმება, რომელიც არა მარტო დაამკვიდრებს ამერიკა-პანამის 1903 წლის ხელშეკრულების კაბალურ პირობებს, არამედ განამტკიცებს ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობას პანამის მიწა-წყალზე.

მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა

ლონდონი. 9 თებერვალი. (საკდესი). კვლავ უშედეგოდ დამთავრდა მალტის პრემიერ-მინისტრის დ. მინტოფისა და ინგლისის თავდაცვის მინისტრის ლორდ კარინგტონის რომის მოლაპარაკების მორიგი რაუნდი.

ლონდონში დაბრუნებულმა კარინგტონმა გულახდილად თქვა, რომ ინგლისი აპირებს კვლავ მოახდინოს ზეგავლენა მალტის მთავრობაზე, რათა დაკმაყოფილებინოს ინგლისისა და ნატოს მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებენ ინგლისს სამხედრო ბაზებისა და ნატოს „სამხედრო ყოფნის“ შენარჩუნებას მალტაში.

„მალტის მთავრობას მკაფიოდ უთხრეს, რომ უმჯობესია რაც შეიძლება მალე დადოს შეთანხმება“, — განაცხადა კარინგტონმა.

ინგლისი და ნატო უარს ეუბნებიან მალტას იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რომ აუნაზღაურონ ზარალი, რომელიც ინგლისს ჯარების ხანგრძლივმა ყოფნამ მიაყენა ქვეყანას.

ლოკერთა გაფიცვა

ნიუ-იორკი. 9 თებერვალი. (საკდესი). დასავლეთის სანაპიროს ნავსადგურების 15 ათასი დოკერის გაფიცვა გრძელდება. გაფიცვა, რომელმაც შეაჩერა 24 ნავსადგურის მუშაობა, გამოცხადდა გასული წლის 1 ივლისს, როცა დოკერები გამოვიდნენ თავიანთი უფლებების დასაცავად „წყნარი ოკეანის საზღვაო ასოციაციის“ წინააღმდეგ, რომელშიც გაერთიანებული არიან სანაოსნო კომპანიების მფლობელები.

6 ოქტომბერს გაფიცვა დროებით შეაჩერა ამერიკის მთავრობამ, რომელმაც, დაადგა რა მეწარმეთა ინტერესების დაცვის გზას, გაფიცულთა წინააღმდეგ გამოიყენა ტაფ-ჰარტლის კანონი. ეს კანონი კრძალავს გაფიცვის მოწყობას 90 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გაფიცვა განახლდა.

ტუნის სან-ფრანცისკოში გამოაცხადეს გაფიცვის წინასწარი მოწესრიგების შესახებ. როგორც ნავსადგურების მტვირთავთა საწყობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარემ გ. ბრიჯესმა გამოაცხადა, მეთანხმების პირობებს შაბათს წარადგენენ კომიტეტის განსახილველად, რომელიც პროფკავშირის ადგილობრივ განყოფილებებს წარმოადგენს. მომავალ კვირაში დოკერები მოაწყობენ კენჭისყრას, რომლის დროსაც გადაწყდება საკითხი, შეწყვიტონ თუ განაგრძონ გაფიცვა.

გუნების იშვიათი მოვლენა

„საჰარელი სტუმარი“ ევროპის თავზე

ბონი. 9 თებერვალი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთი რაიონების მცხოვრებნი ბუნების არაჩვეულებრივი მოვლენის მოწმენი გახდნენ, ლურჯ ულრუბლო ცას რამდენიმე წუთში მიხაკისფერი დაედო.

ოთხი საათის განმავლობაში მაინის ფრანკფურტის, ოფენბახის, მაინცის, ვისბადენისა და რაინმაინის რაიონის სხვა ქალაქების თავზე მიცურავდა 250 კილომეტრზე მეტი სიგრძის მიხაკისფერი ღრუბელი.

როგორც მეტეოროლოგებმა ახსნეს, საქმე ეხება ბუნების ფრიად იშვიათ მოვლენას. მიხაკისფერი ღრუბელი — ეს არის ქვიშის მასა, რომელიც ევროპაში შემოიჭრა აფრიკის საჰარის უდაბნოდან. ღრუბელმა „გადაუარა ხმელთაშუა ზღვას და ალპის მთებს“.

ფიქრობენ, რომ იგი წარმოიქმნა ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის თავზე. ძლიერმა ქარმა, რომელიც ატლანტიკიდან ქროდა, მაერში 3 ათას მეტრზე მეტ სიმაღლეზე აიტაცა წვრილი ქვიშის მასა.

საათში 60-70 კილომეტრი ხიჩქარით „საჰარელი სტუმარი“ ახლა მიიწევს ბალტიის ზღვის მიმართულებით.

ოდესელ ბანკირთა ბანკროტობა

ბონი. 9 თებერვალი. (საკდესი). კვლავ უმუშევრობა დამძიმდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 375 ათასს გადაამტა. ეს განაცხადა დღეს ნიურნბერგში შრომის საკითხთა ფედერალური სამმართველოს პრეზიდენტმა შტინგლმა. გასული წლის იანვართან შედარებით უმუშევრობა 31,2 პროცენტით გაიზარდა.

ეროვნული დღეს

უკანასკნელი ამბები

ჯრემიკა ელსბერგს

ნიუ-იორკი. 9 თებერვალი. (საკდესი). „ამერიკის სავეტნამო პოლიტიკის შემსწავლელმა იურისტთა კომიტეტმა“ თავის მიერ დაწესებული ეროვნული პრემია პატრიოტული საქციელისათვის მიაკუთვნა დანიელ ელსბერგს.

გადაწყვეტილებაში დ. ელსბერგის დაჯილდოების შესახებ, რომელიც ერთხმად მიიღეს კომიტეტის სხდომაზე, აღნიშნულია, რომ ხელისუფალთა მხრივ სასამართლო დევნის ობიექტად გამხდარი ახალგაზრდა მეცნიერის მამაცური საქციელი მაღალი პატრიოტიზმის გამოვლინებაა და შეესაბამება ამერიკელი ხალხის ინტერესებს.

ეროვნული დღეს

უკანასკნელი ამბები

ეროვნული დღეს

უკანასკნელი ამბები

უმუშევრობა გაიზარდა

ბონი. 9 თებერვალი. (საკდესი). მიმდინარე წლის იანვარში

ეროვნული დღეს

უკანასკნელი ამბები

გმირული ბრძოლების ერთიანი ისტორია

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“

(1883-1970), საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, 1971 წ. სარედაქციო კოლეგია: გ. ი. დევდარიანი, ვ. გ. ესაიაშვილი, ფ. ნ. ლომაშვილი, ვ. ნ. მერკვილაძე, ი. ი. მირცხულავა, გ. კ. ძვანია, დ. გ. სტურუა (ხელმძღვანელი), ნ. ი. სტურუა.

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“ დაწერა ავტორთა კოლექტივმა, რომელშიც შედიან: ა. ვ. ალლაძე, გ. ი. დევდარიანი, ლ. ი. ებანოიძე, კ. მ. ივანიძე, ი. მ. კაბანარავა, ა. ი. კიკვიძე, ფ. ნ. ლომაშვილი, ნ. გ. მახარაძე, ვ. ნ. მერკვილაძე, ი. ი. მირცხულავა, გ. კ. ძვანია, ვ. ვ. სიხარულიძე, დ. გ. სტურუა, ნ. ი. სტურუა, ნ. ა. ჩახვაშვილი, შ. ი. ჩიკვაძე, ს. დ. ჩხარტიშვილი, ბ. ვ. ხაბაჯურიძე.

ჩვენინური კომუნისტური პარტიის — ჩვენი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის ცალკეული რაზმების წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესწავლა, მათი მოღვაწეობის აქტუალური პრობლემების დამუშავება იყო და არის პარტიის ისტორიკოსთა ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა. მისი გადაწყვეტის საქმეში თვალსაჩინო წვლილია „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებმა“, რომელიც დაწერა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა.

ნარკვევების გამოცემა, რომელიც მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის დაარსების 50 წლისთავისადმი, დიდი მნიშვნელობის მოვლენაა საქართველოს კომუნისტების, მთელი ქართველი ხალხის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველოს კომპარტია სკკპ ორგანული ნაწილია, ერთ-ერთი ნაცადი, მტკიცე მებრძოლი რაზმია. და ბუნებრივია, მის ისტორიას, ისევე როგორც სკკპ სხვა რაზმების ისტორიას, დიდი ინტერესითა და ყურადღებით გაეცნობიან კომუნისტები, უპარტიოთა ფართო მასები.

ავტორთა კოლექტივს ნაყოფიერი შრომატევადი მუშაობა გაუწევია მათ მიერვე დაწერილი „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების“ (I და II ნაწილის) საფუძველიანი გადამუშავებისათვის, ახალი თავებისა და მასალების ჩამატებისათვის. მასში გათვალისწინებულია პარტიულ-ისტორიული მეცნიერების, კერძოდ, საქართველოს კომპარტიის ისტორიოგრაფიის ბოლოდროინდელი მიღწევები.

ნარკვევებს მრავალი ღირსება ახასიათებს. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მასში საქართველოს კომპარტიის სახელოვანი ისტორია გაშუქებულია მაღალ იდეურ-შეცნიერულ დონეზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიასთან განუყრელ კავშირში.

სარეცენზიო წიგნი ეყრდნობა დიდძალ დოკუმენტებს, უამრავ ფაქტობრივ მასალას. მასში ფაქტები და მოვლენები განსზოგადებულია სწორად, მეცნიერულად. „ნარკვევებში“ თავიდან ბოლომდე მტკიცედ არის დაცული ისტორიზმისა და პარტიულობის ყრილობებისა და კონფერენციების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებები.

ნარკვევების I-VIII თავები მეძვიეური ორგანიზაციების მოღვაწეობას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენებ.

აქ უწინარეს ყოვლისა გადმოცემულია მარქსიზმის გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნის ისტორია საქართველოში. დიდძალი საინტერესო მასალები, დოკუმენტები და მათი სათანადო ანალიზი სწორად წარმოგვიდგენს საქართველოში ბატონყმობის ფეოდმბის, კაპიტალიზმის განვითარების, სამრეწველო პროლეტარიატის გაჩენის, მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯების, მარქსიზმის გავრცელების, „მესამე დასისა“ და რუსი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობის, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბების, 90-იანი წლების დამლევს სოციალ-დემოკრატიული წრეების გაერთიანებისა და მუშათა მოძრაობისადმი ხელმძღვანელობის ისტორიას. სამართლიანად არის ყურადღება გამახვილებული იმაზე, რომ საქართველოს მუშათა კლასი ყალიბდებოდა და ვითარდებოდა როგორც რუსეთის მუშათა კლასის ნაწილი, როგორც მისი ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი, რომ მუშათა მოძრაობას ჩვენში დასაბამი მიეცა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში. ნარკვევები ცხადყოფს, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები თავიდანვე ინტერნაციონალურ საფუძველზე იყო აგებული.

სარეცენზიო წიგნში საფუძვლიანად არის გაშუქებული საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და პირველი მარქსისტული ორგანიზაციების შექმნის საკითხები; ნაჩვენებია ლენინური „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“. უშუალო გავლენა საქართველოში მუშათა რევოლუციურ მოძრაობაზე, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობაზე. მასში ნათლად არის ნაჩვენები საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საქმიანობა, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული ი. სტალინის, ლ. კიცხოველის, ა. წულუკიძის, მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძის, პ. ჯაფარიძის, ზ. ჩოდრიშვილის, მ. ბოჭორიძის, ი. სტურუას, ა. ენუქიძის, გ. თელიას და თვალსაჩინო რუსი სოციალ-დემოკრატების — მ. კალინინის, ვ. კურნატოვსკის, ა. აფანასიევის, ა. ალილუევის, ნ. კოზირევსკის, გ. ფარნერსკის და სხვათა სახელებთან.

საქართველოს ლენინურ-ისკრულმა ორგანიზაციებმა, ბოლშევიკებმა ლენინის ხელმძღვანელობითა და დახმარებით თვალსაჩინო როლი შეასრულეს ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნისა და განმტკიცებისათვის ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის, რუს და სხვა ხალხებთან მჭიდრო შეკავშირების აუცილებლობაში.

დიდ და დაძაბულ მუშაობას ეწეოდნენ საქართველოს ბოლშევიკები რეაქციის პერიოდში. მათ ერთხელ კიდევ მთელი სიძლიერით გამოავლინეს ვ. ი. ლენინის საქმისადმი ერთგულება. ისინი ერთსულოვნად უმკრდნენ მხარს ლენინს ლიკვიდატორებს. ოტზოვისტების და მუშათა კლასის სხვა ამკარა და ფარული მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. უნარიანად რომ ათავსებდნენ ერთმანეთთან არალეგალურ და ლეგალურ მოღვაწეობას, მათ თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს პროლეტარული პარტიის შენარჩუნება-განმტკიცებისა და ახალი რევოლუციური აღმავლობისათვის ბასების მოსაშზადებლად.

საქართველოს ბოლშევიკები თანმიმდევრულად იბრძოდნენ მარქსიზმის ფილოსოფიის დასაცავად, ფართოდ განშარტავდნენ მასებს ვ. ი. ლენინის წიგნის — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ — უდიდეს მნიშვნელობას. ნიშანდობლივია, რომ ამ წიგნის პირველი რეცენზია ცნობილი ქართველი ბოლშევიკის ს. ა. ჯაფარიძის კალამს ეკუთვნის.

ნარკვევებში საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობა ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში. ნაჩვენებია, რომ საქართველოს ბოლშევიკები დიდ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ მშრომელ მასებში, განუმტკიცებდნენ მათ რევოლუციის გარდუვალობის რწმენას, იყენებდნენ ყოველ ახალ გაფიცვას, დემონსტრაციას მუშებისა და გლეხების მოსაშზადებლად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. მათ თვალსაჩინო როლი შეასრულეს რსდმპ VI (პრაღის) კონფერენციის მოშზადებასა და ჩატარებაში, ასევე გაშალეს ფართო კამპანია კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

მრავალმხრივი და შინაარსიანი იყო საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობა პ-რეველ მსოფლიო ომისა და რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში. დიდძალი მასალების ორმა ანალიზით წიგნში წარმოდგენილია ომისადმი საქართველოს სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასების დამოკიდებულება, საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ომის წლებში ლენინური ლოზუნგების დაცვისა და განხორციელებისათვის, რევოლუციური მოძრაობის ზრდა, თებერვლის რევოლუციის გამარჯვება და დროებითი მთავრობის ადგილობრივი ორგანოების ჩამოყალიბება ამიერკავკასიაში, დახასიათებულია თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში შექმნილი ვითარება და მის შესაბამისად ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობა.

ვ. ი. ლენინის ცნობილი აპრილის თეზისებით და რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გააჩაღეს ბრძოლა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის. ბოლშევიკები დაუღალავად ზრუნავდნენ პარტიული ორგანიზაციების გაფართოება-განმტკიცებისათვის, მენშევიკების, ესერებისა და სხვა კონტრრევოლუციური პარტიების მხილებისა და მასების თავიანთ მხარეზე გადმოყვანისათვის და ამ მხრივ თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს.

საქართველოს ბოლშევიკებმა იკონისის ამბების შემდეგ გარდაქმნეს მუშაობა ახალი ვითარების შესაბამისად. ვ. ი. ლენინის ფუძემდებლური მითითებების, პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებების საფუძველზე მათ ფართოდ გააჩაღეს ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ისინი გამოდიოდნენ „ზაკომის“ ბურჟუაზიულ-რეაქციულ პოლიტიკას, რაზმავდნენ მასებს პარტიის VI ყრილობის მიერ აღებული შეიარაღებული აჯანყების კურსის შესაბამისად სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის.

საქართველოს მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას რუსეთში. ამიერიდან დაიწყო ახალი ეტაპი ქართველი ხალხის ბრძოლაში სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს მუშათა და გლეხთა კავშირი რუსეთის მუშებთან და გლეხებთან. საქართველოს [illegible] ბურჟუაზიულ-ეროვნული [illegible] ოკუპაცია, [illegible] ბოლშევიკები ეროვნული ობიექტური და სუბიექტური ხასიათის მიზეზების გამო. ჩვენში კონტრრევოლუციის ძალებმა შეძლეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება. მენშევიკებმა, რომლებიც ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ, ანტიხალსური რეჟიმი დაამყარეს. საქართველოს მშრომელები ინტერვენტებისა და მენშევიკების ბატონობის ქვეშ უაღრესად მძიმე, საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის შეფერხების ძირითადი მიზეზი იყო მისი ოკუპაცია ჯერ გერმანელ-თურქი, შემდეგ კი ინგლისელ-ფრანგ-ამერიკელი იმპერიალისტების მიერ. მენშევიკებმა და უცხოელმა ინტერვენტებმა საქართველო საბჭოთა რუსეთთან ბრძოლის პლაცდარმად გადააქციეს. ისინი მშრომელთა ინტერესებს ფეხქვეშ თელავდნენ, მათი საქმიანობა მთლიანად სოციალიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

საქართველოს მშრომელები ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გმირულად იბრძოდნენ ინტერვენტებისა და მათი მენშევიკი მარionეტების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა შემადგენელი ნაწილი იყო იმ დიადი ბრძოლისა, რომელიც რუსეთის მუშებმა და გლეხებმა გააჩაღეს საშინაო ომის პერიოდში.

სარეცენზიო ნაშრომი წარმოგვიდგენს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული მშენებლობის ლენინური გეგმის შესაბამისად საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული გაფართოების, რაც უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია საქართველოს კომპარტიის, მთელი ქართველი ხალხის ისტორიაში. ამასთან მასში საფუძვლიანად არის ნაჩვენები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების კანონზომიერება, შინაგანი ობიექტური და სუბიექტური წანამძღვრების არსებობა.

საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, წითელი არმიის ძმური დამბარებით 1921 წლის 25 თებერვალს დაამხეს მენშევიკების რეაქციული ნაციონალისტური მთავრობა და დამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. ამ გამარჯვების დიად დღეს გ. კ. ორჯონიკიძემ ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს გაუგზავნა ისტორიული დეპეშა: „ამბილისზე საბჭოთა ხელისუფლებამ

ერთიანი ბრძოლისა

ამოფლიდან

ლონდონი — წინასაარჩევნო მანევრი

9 თებერვალი. (საკდესი). ნიქსონის მიერ ამას წინათ წამოყენებული ეგრეთწოდებული ვიეტნამის „მშვიდობის გეგმა“ იმის ცდაა, რომ პოლიტიკური კაპიტალი დააგროვონ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნების წინ, წერს სემ რასელი გაზეთ „მორნინგ სტარში“.

იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს გეგმა მიზნად ისახავს შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო ჰაზოგადოებრიობა და უწინარეს ყოვლისა თვით ამერიკელები ვიეტნამში ნიქსონის ადმინისტრაციის ნამდვილი გეგმების გამო.

რასელი აღნიშნავს, რომ ნიქსონს არასოდეს არ წამოუყენებია სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარების მთლიანად გაყვანის, ამერიკის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის საკითხი, ნიქსონის გეგმა, ნათქვამია სტატიაში, მშვიდობის მიღწევას როდი ისახავს. მისი მიზანი ის არის, რომ უზრუნველყოს თხიეუს ნეოკოლონიალისტური მარionეტული რეჟიმის ბატონობა ვიეტნამელ ხალხზე.

ვაშინგტონის „კეთილი სამსახური“

ვაშინგტონი. 9 თებერვალი. (საკდესი). ისრაელის თავდაცვის მინისტრი მ. დაიანი, რომელიც ვიზიტად იმყოფება აქ, შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრს მ. ლეირდსა და სახელმწიფო მდივანს უ. როჯერსს.

როგორც ამერიკის პრესის ცნობებიდან ჩანს, მოლაპარაკების დროს საქმე ეხებოდა ამერიკა-ისრაელის იმ გეგმების კიდევ უფრო მეტადრო კოორდინაციას, რომ გაერეკა მოახდინონ ეგვიპტეს და სხვა დამოუკიდებელ არაბულ ქვეყნებზე, რომლებმაც ისრაელის აგრესია განიცადეს 1967 წელს.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ დაიანმა დაადასტურა, რომ „მიღწეულია შეთანხმება ისრაელისათვის ამერიკული რეაქტიული თვითმფრინავების მიწოდების შესახებ“, — წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“.

როცა კორესპონდენტებმა სთხოვეს დაიანს ეცნობებინა დასახული ამერიკული მიწოდების დეტალები, დაიანმა ურჩია მათ, „გაზეთები იკითხეთო“.

ამერიკის პრესა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიანის ვიზიტის წინ აღნიშნავდა, რომ ვაშინგტონი ისრაელს მიაწვდის „ფანტომის“ ტიპის 42 თვითმფრინავს და „სკაიჰოკის“ ტიპის 90 თვითმფრინავს.

პარიზი. 9 თებერვალი. (საკდესი). ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ებანმა განაცხადა, რომ „შუალედური მოწესრიგება“ და სუეცის არხზე ნაოსნობის განახლება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მხოლოდ „ამერიკელთა კეთილი სამსახურის“ საფუძველზე, იუწყება ფრანს პრესის საგაზეთო ტელევიზიელი კორესპონდენტი.

ებანმა არსებითად აღიარა, რომ ისრაელი მიზნად ისახავს ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთწოდებული „კეთილი სამსახურით“ შეცვალოს ახლო აღმოსავლეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის გ. იარინგის მისია. თავის განცხადებაში ებანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოლაპარაკება ნაოსნობის განახლების შესახებ არ შეიძლება წარმოებდეს იარინგის ეგიდით.

თოვლი, ქარგუქი

თეირანი. 9 თებერვალი. (საკდესი). ირანის ჩრდილოეთ და დასავლეთ პროვინციებში უხვად თოვს, რომელსაც თან ახლავს ძლიერი ქარბუქი. თითქმის მთლიანად ჩაკეტა ცხოვრება ადმინისტრაციულ ცენტრში — თავრიზში.

თოვლმა დაფარა თავრიზ-თეირანის გზა, რომელზეც გაეხარა 200-მდე ავტობუსი და სატვირთო მანქანა. თოვლმა და ქარბუქმა გარე სამყაროს მოსწყვიტა დაახლოებით 4 ათასი სოფელი.

შტორმისა და თოვლის გამო სამ კვირაზე მეტი ხანია არ მუშაობს კასპის ზღვის უდიდესი ფეხლევის ნავსადგური.

პარლამენტის განსახილველად მდგომარეობა დაძაგულია

9 თებერვალს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმეკრულებანი სსრ კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გამოაქვთ დასავლეთ გერმანიის პარლამენტის განსახილველად. ბუნდესტაგი — პარლამენტის პალატა, რომელიც დასავლეთ გერმანიის მხარეთა წარმომადგენლებისაგან შედგება, — განიხილავს ხელშეკრულებათა კანონპროექტებს პირველი წაკითხვით.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ორივე ხელშეკრულებეს შეტანა ბუნდესტაგის განსახილველად ნიშნავს გადასვლას ხელშეკრულებათა რატიფიკაციის პროცედურის მომდევნო სტადიაზე, რომელიც დამთავრდება ბუნდესტაგის დასამტკიცებლად მათი შეტანით. მანამდე ხელშეკრულებანი მოიწონეს ბუნდესრატის სამართლის კომისიამ და საგარეო საქმეთა კომისიამ.

დასავლეთ გერმანიის პარლამენტის ბრძოლა ხელშეკრულებათა რატიფიკაციისათვის სულ უფრო მეტად ხდება ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს დასავლეთ გერმანიის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებას.

დასავლეთ გერმანიაში ფართოვდება საზოგადოებრიობის სულ სხვადასხვა წრეების მოძრაობა იმისათვის, რომ პარლამენტმა დაამტკიცოს ხელშეკრულებანი. ამ მიზნით იქმნება „სამოქალაქო ინიციატივის კომიტეტები“, ეწყობა „მოქმედების დღეები“. ამ მოძრაობაში აქტიურ როლს ასრულებენ პროფკავშირები. ხელშეკრულებებს მხარს უჭერენ გერმანიის კომუნისტური პარტია, ბევრი დემოკრატიული ორგანიზაცია. სოციალისტურ ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის პოლიტიკას ეზრუნა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის უმრავლესობა.

ყოველივე ეს აძნელებს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის მემარჯვენე ხელმძღვანელობის ცდებს ხელი შეუშალოს ხელშეკრულებათა ძალაში მესლას, ხშირად არღვევს მის შეთანხმებულ მოქმედებას.

როგორც დასავლეთგერმანული პრესა წერს, ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირში უსიამოვნო განცვიფრება გამოიწვია იმან, რომ ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარემ შტრაუსმა წამოაყენა თავისი „ხელშეკრულების პროექტი“, და ეს წინასწარ არ შეატყობინა თავის უფროს პარტნიორს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პარტიაში.

ოპოზიციის რიგებში არ არის ერთნაირი აზრი იმ მტკიცებათა გამოც, თითქოს ხელშეკრულებანი არ შეესაბამებიდნენ დასავლეთ გერმანიის კონსტიტუციას, როგორ ცდილობს ამას ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ზოგიერთი პოლიტიკოსი. ეს მოჩვენებული მოსაზრება უარყოფილია განცხადებებით, რომლებიც გააკეთეს მთავრობის წარმომადგენლებმა.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის რიგებში სულ უფრო ხშირად გისმის საღად მოაზროვნე მოღვაწეთა ხმები, რომლებიც მოუწოდებენ რეალურად შეხედონ მიმდინარე პოზიტიურ ცვლილებებს, რომელთა გამოხატულებაა მოსკოვსა და ვარშავაში დადებული ხელშეკრულებანი. ასეთ მოღვაწეთა შორის არიან ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის სოციალური კომიტეტების გამგეობის წევრი კ. ფემლინი, ბუნდესტაგის დეპუტატი ა. მიულერი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე ტაკე. (8 თებერვალი. საკდესი).

ნიუ-იორკი — ა. დევისის სიტყვა

9 თებერვალი. (საკდესი). „ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წევრი იმიტომ გავხდი, რომ მინდა თავისუფალი ვიხილო ჩემი ჩაგრული ხალხი, თავისუფალი ვიხილო მსოფლიოში მცხოვრები ყველა ჩაგრული ადამიანი“, — განაცხადა ანჯელა დევისმა სატელევიზიო ინტერვიუში.

„მესმის, რომ ერთადერთი საშუალება, რომლითაც შევძლებთ მოვიპოვოთ განთავისუფლება, ეს არის გადასვლა რევოლუციურ საზოგადოებაზე, სადაც პატივს სცემენ თვითეული ადამიანის მოთხოვნილებებს, ინტერესებსა და მისწრაფებებს“, — ხაზგასმით აღნიშნა ამერიკელმა კომუნისტმა, რომელიც ხელისუფლებმა განზრახ შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე დაამატიმრეს.

კალიფორნიის ქალაქ სან-ხოსეს სასამართლოს დარბაზში, მეფილეგეთა მიერ დაგეგმილ მის გასამართლებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე სატელევიზიო კამერის წინ გამოსვლისას ამერიკელი ხალხის მამაცმა შვილმა გაბედულად დაგმო რასიზმი, მთელი ამერიკული რეაქცია.

„რასიზმი შეერთებულ შტატებში მანამ არ აღმოიფხვრება, სანამ არ მოისპობა მისი წარმომშობი მთელი სისტემა, — აღნიშნა ანჯელა დევისმა. — რასიზმი გამჯდარია ამერიკული საზოგადოების თვით ბუნებაში, და ზანგ რევოლუციონერებს ესმით, რომ ვერ იბრძოლებენ რასიზმის წინააღმდეგ, ვერ შეძლებენ ეფექტიანად იბრძოლონ რასიზმის წინააღმდეგ, სანამ არ მოსპობენ ამ სისტემას“.

ამერიკის საზოგადოებას ვერ შევცვლიდ, თუ არ დავანგრიეთ მისი ეკონომიური სტრუქტურა, რომლის დროსაც ერთი მუჭა პირები ფლობენ შეერთებული შტატების მატერიალური ღონისძიების ძირითად ნაწილს, ხაზგასმით აღნიშნა ანჯელა დევისმა.

ამის შემდეგ კალიფორნიელი რასისტები კვლავ შეეცადნენ გარე სამყაროს მოსწყვიტონ და ხმის უფლება წაართვან ა. დევისს, რომელიც სან-ხოსეს საპყრობილის ჟურნალისტებს ინტერვიუ. სოლომ მოსამართლემ ჯ. სკოტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც ა. დევისს ეკრძალება შეხვდეს ჟურნალისტებს და მისცეს ინტერვიუ.

9 თებერვალი. (საკდესი). საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით კალიფორნიის მოსამართლე რ. არნასონი იძულებული იყო შეეცვალა გადაწყვეტილება, რომელიც უკრძალავდა ანჯელა დევისს ინტერვიუ მიეცა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებისათვის.

მაგრამ მოსამართლის დადგენილება ითვალისწინებს, რომ დაატიმრებულ კომუნისტთან პრესის წარმომადგენლებით დაშვების საკითხის გადაწყვეტა „სავსებით ეკისრება სან-ხოსეს საპატიმროს ხელისუფალთ“. ამრიგად, მედიცინეებს კვლავ მიენიჭათ ფაქტიურად უკონტროლო უფლება შეზღუდონ ანჯელა დევისის შეხვედრები პრესის წარმომადგენლებთან.

ბონი

3. ბრანდტის განცხადება

9 თებერვალი. (საკდესი). დღეს ბუნდესრატში (დასავლეთ გერმანიის პარლამენტის მხარეთა პალატაში) „განიხილავენ საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის კანონპროექტებს.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ვ. ბრანდტმა განაცხადა, რომ ხელშეკრულებანი დასაბამს აძლევენ საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის ნორმალიზაციას. ეს მხოლოდ დასაწყისია, „მაგრამ საპირო დასაწყისი“, თქვა კანცლერმა.

უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გამოსვლისას ვ. ბრანდტმა დიდად შეაფასა ხელშეკრულებანი და ისინი დაახასიათა როგორც მნიშვნელოვანი წვლილი დაძაბულობის შენელებაში.

ასეთი პოლიტიკა, თქვა მან შემდეგ, შეესაბამება ევროპის ინტერესებს, კერძოდ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინტერესებს. ვ. ბრანდტმა ხაზი გაუსვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მისწრაფებას განამტკიცოს მშვიდობა ევროპის კონტინენტზე.

ვ. ბრანდტმა გამოთქვა რწმენა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტი დამტკიცებს ხელშეკრულებებს საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან და „ეს ხელშეკრულებანი ძალაში შევა. ამასთანავე ძალაში უნდა შევიდეს ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ. „მხოლოდ ამ გზით, — თქვა მან, — წავიწევთ წინ ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში. ხელშეკრულებათა რატიფიკაცია მხოლოდ ეტაპია ჩვენს გზაზე“.

„შავი პოლკოვნიკების“ დასაყრდენი

მხარდაჭერა, რომელსაც ამერიკა უწევს ათენის ხუნტას, ძირითადი დაბრკოლებაა დემოკრატიის აღდგენისა და „შავი პოლკოვნიკების“ სამხედრო დიქტატურის დამხობის გზაზე. ასეთ დასკვნამდე მიდის გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, რომელმაც გამოაქვეყნა საბერძნეთის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებთან თავისი კორესპონდენტის საუბრების შედეგები.

„ქვეყნის მოსახლეობის 99 პროცენტი, — განუცხადა, კერძოდ, კორესპონდენტს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა პანაიოტის კანელოპულოსმა, — მაკიაველ აარის დარწმუნებული, რომ 1967 წლის აპრილის გადატრიალება, რომელმაც პოლკოვნიკების ძალაუფლება დაამყარა მოხდა შეერთებული შტატების, უწინარეს ყოვლისა, პენტაგონის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ამერიკელ იარაღის ფაბრიკანტთა დახმარებით“.

არავისათვის არ არის საიდუმლო, თქვა მან, რომ ამერიკა, რომელიც სტრატეგიული მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, მზად არის მხარი დაუჭიროს ყოველგვარ მთავრობას, რომელიც სამუშაოებს მისცემს ამერიკელ ქვეყანა ამერიკის სამხედრო გეგმებისათვის.

კანელოპულოსის აზრით, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1970 წელს განახლდა ხუნტისათვის იარაღის მოწოდება. ამასვე მოწმობს ამერიკისა და ხუნტის მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ „შუდშინი სამყოფელი“ მიეცეს მე-6 ფლოტის ხომალდებს საბერძნეთის ნავსადგურებში, რაც ამერიკის მხედრიონის სანუკვარი ოცნებაა. იმპერიალისტურ მიზნებს ემსახურება ბერძენი ამერიკის მთავრობის ისეთი მაღალი თანამდებობის წარმომადგენლთა ვიზიტები საბერძნეთში, როგორიც არიან ვიცე-პრეზიდენტი აგნიუ და თავდაცვის მინისტრი ლერნერი.

ამასთანავე შეერთებული შტატების აშკარა მხარდაჭერით „შავი პოლკოვნიკები“ აძლიერებენ რეპრესიებს მზარდი ოპოზიციის წინააღმდეგ, ციხეებსა პატრიოტებს. „წამება და მკვლელობა უცილობელი ფაქტია“, — ხაზი გაუსვა კანელოპულოსმა. ასიათასობით ბერძენი იტანჯება საპყრობილეებში. ქვეყნის მოსახლეობას პრაქტიკულად ჩამორთმეული აქვს მოქალაქეობრივი უფლებანი. უნივერსიტეტები და კოლეჯები სავსეა ჯაშუშებით. ყოველი ნათქვამი სიტყვა ცნობილი ხდება ნელისუფალთათვის. რომლებმაც მასობრივი რეპრესიები საშინაო პოლიტიკის ძირითად კურსად გადააქციეს. დარბეულია პროფკავშირები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სასტიკად დევნიან პრესას. (საკდესი).



ფართოვდება სავაჭრო ურთიერთობა ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ამას წინათ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე ეკვადორი ჩვენს ქვეყანას მოაწვდის 10.000 ტონა ბანანს, ხოლო საბჭოთა კავშირი — 200 ავტომანქანა „გაზს“.

სურათზე: საბჭოთა გემი „კურა“ იტვირთება გუიაიაკილის ნავსადგურში.

(საკდესის ფოტოქრონიკა.

ამჯერ

● **ხელი მოაწერეს** საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის სამთავრობათაშორისო შეთანხმებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მოწყობილობასა და მასალებს მიაწვდის ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკას ალექსანდრიის ნავსაშენში 20 დიდტვირთიანი გემის, 20 საზღვაო ბუქსირის მშენებლობისა და თვით ნავსაშენის გაფართოებისათვის.

● **ინგლისის ლეიბორისტული პარტიის** ეროვნულმა აღმასკომმა მოსთხოვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დაასახელოს ინდოჩინეთიდან მთელი ამერიკული ჯარების გაყვანის უახლოესი თარიღი.

● **ინგლისის მთავრობამ** მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში გამოაცხადოს საგანგებო წესები 300 ათასი მაღაროელის გაფიცვასთან დაკავშირებით, რომელიც უკვე მეხუთე კვირაა გრძელდება. ეს გადაწყვეტილება მიღებულია მინისტრთა კაბინეტის საგანგებო კომიტეტის სხდომის შემდეგ, რომელიც ინსპირებულ „გაფიცვების შედეგებს“. ოფიციალურად საგანგებო წესები შემოღებული იქნება საიღუმლო საბჭოს (დედოფლის საკონსულტაციო ორგანოს) სხდომის შემდეგ.

● **ყარაჩის ნავსადგურში** სრულიად შეწყდა მუშაობა ხუთი ათასი ნავსადგურის მუშ

გამარჯვებათა მატიანე

ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲗᲐ ᲨᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲣᲬᲐᲠᲧᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ!".

ამიერიდან დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის ისტორიაში. ლენინი მიესალმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას: „ᲒᲐᲓᲐᲪᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ ᲛᲘᲜᲐᲪᲕᲔᲚᲘ ᲒᲘᲠᲩᲮᲝᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ...", — სწერდა ივი გ. კ. ორჯონიკიძეს.

ვ. ი. ლენინმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიიჩნია.

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ IX-XVI ᲗᲐᲕᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲣᲥᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲝᲦᲐᲕᲐᲭᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲚᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ, ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ.

საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მმართველი პარტია გახდა, ლენინის მიერ ნაჩვენები გზით შეუდგა სოციალიზმის აშენებას. საქართველოს მშრომელებმა, რომლებმაც მოიწონეს პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებანი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსეთის სფს რესპუბლიკისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ხალხებთან ძმური თანამეგობრობით დიდი წარმატებები მოიპოვეს რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტია შემოქმედებითად იყენებდა საბჭოთა რუსეთის მდიდარ გამოცდილებას, ხოციალიზმის მშენებლობას წარპრპოავდა საერთო კანონზომიერების შესაბამისად, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, რაც არ ცვლიდა პროცესის საერთო ხასიათსა და მიმართულებას. წიგნში სამართლიანად არის გამოხვეულები ყურადღება სოციალური პრობლემების გადაჭრის უპირატესობაზე ეროვნულ პრობლემასთან შედარებით. ვ. ი. ლენინის ცნობილი ფუძემდებლური მითითების მიხედვით კავკასიისათვის ეროვნულ საკითხს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ვლადიმერ ილიას-ძე ამავე დროს აღნიშნავდა, რომ „...ᲙᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲝᲗᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

სტუმრის თვალით

სიჭაბუკის წამალი — საქართველოში

ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲝᲠ კვირას იყო სტუმრად საქართველოში კონექტიკუტის უნივერსიტეტის (ამერიკის შეერთებული შტატები) სოციოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი უოლტერ მაკკეინი. ცნობილ ამერიკელ სოციოლოგსა და გერონტოლოგს, ჩვენი ქვეყნის შესახებ ბევრი სტატიის ავტორს ინტერესებდა ქართველ დღეგრძელთა ცხოვრება, სსრ კავშირის სოციოლოგიისა და გერონტოლოგიის დარგის მეცნიერული გამოკვლევები. იგი იყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქორდანიას სახელობის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში, სოციალური გერონტოლოგიის ლაბორატორიაში, რომელსაც პროფესორი გ. ფიცხელაური მეთაურობს.

მეცნიერზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ფილმმა ქართველ დღეგრძელთა შესახებ, საქართველოს ბევრი ასი წლის მოხუცთა გაცნობამ. ამერიკელი სტუმარი იყო შორეულ მთიან სოფლებში, ესაუბრა ასწლოვან ადამიანებს, გაეცნო მათს ცხოვრებას, შრომისა და დასვენების პირობებს, ადგილობრივ ტრადიციებს, ქართულ კულტურას.

პროფესორმა მაკკეინმა საქართველოში სტუმრობის შთაბეჭდილებანი გაუზიარა საქმესის კორესპონდენტს ი. გოლდმანს და თქვა:

— უკვე მესამედ ვარ საბჭოთა კავშირში და ყოველთვის ჩამოვდივარ საქართველოში. ღრმად მწამს: ქართველები დიდხანს იმიტომ ცოცხლობენ, რომ ერთსულოვანი არიან, ერთმანეთს გულთბილად და გულისხმიერად ეპყრობიან. თქვენი ბალნი კეთილი, სტუმართმოყვარე და გულღია.

ქართველთა დღეგრძელობა ძალიან აინტერესებთ ამერიკელ მეცნიერებს. თქვენი გერონტოლოგების ნაშრომები ფართოდაა ცნობილი ჩვენში. აქვე უნდა ვთქვა, რომ ჩემი აზრით, უკანასკნელ წლებში საქართველო კარგავს პრიორიტეტს დღეგრძელთა რაოდენობით. რადგან სსრ კავშირში მატულობს დღეგრძელთა კერძის რიცხვი ქვეყნის სულ სხვადასხვა რაიონში.

განსაკუთრებით დამაინტერესა გერონტოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომელთა ნაშრომებმა, რომლებიც მეცნიერული თვალსაზრისით სწავლობენ ოჯახისა და დღეგრძელობის პრობლემებს და სხვ. დიდად საყურადღებოა ქართველ გერონტოლოგთა მეცნიერული ექსპედიციის შედეგები ასწლოვანთა კვების შესწავლაში. ვფიქრობ, ქართველ მოხუცთა რეკომენდაციებით სიამოვნებით ისარგებლებდნენ ბევრი ქვეყნის მცხოვრებნი. კერძოდ, მათ ულუფაში ჭარბობს მცენარეული საჭმელი, ფართოდ ხმარობენ უმ ბოსტნეულსა და ხილს, მოხარშულ ხორცს და სხვ. საგანგებო ვიზიარებ თქვენი მეცნიერების თვალსაზრისს, რომ სელეროსის წინააღმდეგ ბუნებრივ ბარიერს ქმნის ისეთი პროდუქტების სისტემატური ხმარება, როგორიცაა რძე, ყველი, ბოსტნეული და ხილი.

ვაგრეთვე მასალას სსრ კავშირში გამოცემულ იმ ნაშრომთა ბიბლიოგრაფიული საძიებლისათვის, რომლებიც სოციალურ გერონტოლოგიას შეეხებიან. მსურს მათი პოპულარიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩემი აზრით, ეს მიიპყრობს სპეციალისტთა ყურადღებას.

ორიგინალურია დღეგრძელობის რუკა, რომელიც თქვენმა გერონტოლოგებმა შექმნეს. იგი ისე არის შემუშავებული, რომ გამოსათვლელ მანქანაზე გადატანილი ამ რუკის მონაცემები დაგვეხმარებიან გავარკვიოთ, რა ფაქტორები ახდენს გავლენას ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებაზე.

ყოველთვის, როცა საქართველოში ჩამოვდივარ, მიკონია, სწორედ აქ ვიპოვი-მეთქი სიჭაბუკის წამალს, რომელსაც დიდი ხანია ვეძებ, და თუმცა ჯერ არ მიპოვია, ეტყობა, სწორად შემარჩევია ძებნის ადგილი.

არ გეგონოთ, გული გამტეხოდეს. არა თქვენთან ყველაფერი კარგია: ხალხიც, ბუნებაც, და ვფიქრობ, თქვენებურ დღეგრძელთა კონკურენტი ვიქნებოდი, საქართველოში რომ ვცხოვრობდე... (საქმესი).

ᲧᲘᲜᲬᲕᲘᲡᲨᲘ

ფოტოეტიუდი ზ. დათუაშვილისა.

მეგობრები კვლავ ხვდებიან

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). დიდი სამამულო ომის ფრონტზე დაამობილდნენ აქაური დავით დონაძე და უზბეკი ყურბან ვალიევი. თითქმის ოთხი წელი იცხოვრეს და იბრძოლეს ერთად მამაცმა არტილერისტებმა. გამარჯვების დღე მათ მტრის ბუნაგთან იზეიმეს და შემდეგ თავიანთ მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ.

ამას წინათ მოის პატარა სოფელ ხიმშში, სადაც დ. დონაძე ცხოვრობს, მოვიდა უზბეკური ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი და ფრონტელი მეგობარი დავითი მოიკითხა. ოცდახუთი წლის უნახავი არტილერისტები ერთმანეთს ძმებივით გადაეხვივნენ. უზომო იყო მათი სიხარული, გაჩაღდა ლხინი, რომელშიც მთელმა დონაძეების უბანმა მიიღო მონაწილეობა. მეგობრებმა მოიგონეს ჯარისკაცული ცხოვრების ეპიზოდები, ომში დალუპული თანამებრძოლები.

ყურბან ვალიევი რამდენიმე დღე დარჩა ხიმშში, გაეცნო რაჭის ღირსშესანიშნავ ადგილებს. გამოთხოვებისას მეგობარმა დ. დონაძე მარხამატში მიიპატიჟა. უზბეკი სტუმარი მთელმა სოფელმა გულთბილად გაიცილა.

Თ. ᲪᲘᲠᲘᲥᲘᲫᲔ.

რომანი მეშახტეთა ცხოვრებაზე

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ მკითხველმა კარგახანია გაიცნო მწერალ **ლადო ავალიანის** რომანის **„ახალი ჰორიზონტის“** გმირები. ეს რომანი ფართო ეპიკური ტილოა, რომელშიც პირველად ქართულ ლიტერატურაში მხატვრულად ასახული მეშახტეთა ცხოვრება. ნაწყვეტები შედგება სამი ტომისაგან, რომლებიც სხვადასხვა დროს მიიღო მკითხველმა. ამ ცოტა ხნის წინათ კი „ახალი ჰორიზონტის“ სამივე ტომი ერთ წიგნად გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“ (რედაქტორი ქ. თავაძე, მხატვარი ნ. იანკოშვილი).

რომანმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მკითხველთა შორის. საქართველოს მწერალთა კავშირის პროზის სექციის მოაწყო „ახალი ჰორიზონტის“ განხილვა. მოიხსენებით გამოვიდა კრიტიკოსი ა. ბაქრაძე. რომანის მხატვრულ და იდეურ ღირსებებზე, საერთოდ ნაწარმოების ავკარგზე ილაპარაკეს მწერლებმა და კრიტიკოსებმა რ. ჯაფარიძემ, გ. კალანდაძემ, გ. ვარდოსანიძემ, გ. ოგაგიანიშვილმა, ზ. ჟუმბერიძემ, ლ. კალანდაძემ, ა. გაწერელიამ, ე. ყიფიანმა. დასასრული გამოვიდა რომანის ავტორი.

ახალი ხიდი

ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ. (საკ. კორ.). მდინარე არეში სოფელ ზოთხერის ორ ნაწილად ჰყოფს. წყალდიდობის დროს მოსახლეობა შეწუხებული იყო, ახლობლებს ერთმანეთთან მიმოსვლა აღარ შეეძლოთ. კარგი საჩუქარი მიიღეს მთიულებმა — დამთავრდა მშენებლობა და საეჭვლოგატაციოდ გადაეცა რკინაბეტონის ხიდი, რომელიც ერთი-მეორესთან აკავშირებს სოფლის ორ მხარეს.

Ა. ᲗᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

„საქართველოს აგიტატორი“ № 3

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲓᲐ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის. პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ყურნალ **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, მესამე ნომერი.

ესტრადა — თეატრი

დუღუკს ვაკვნესებ...

ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲝᲜᲘᲜᲐᲠᲘ

ᲘᲛ ᲓᲦᲔ არც მიჩიგანის ორკესტრი გამოდიოდა და არც ლეი არმსტრონგი, არც ჯორჯ ბალანჩინის ფეერიები ცეკვავდნენ და პაპატანასიეს მედეაც ცრემლად არ უნდა დაღვრილიყო. ერთი პატარა ქალაქური, მედუდუკეთა დასტა დაბადების მეათე წლისთავს ზეიმობდა და დარბაზს იმდენი ხალხი მოაწყდა. — ყველანი სახტად დარჩნენ — თურმე ნუ იტყვი და ამ პატარა საკრავს ბევრი ქომაგი ყოფილა, ვინც მაშინ სავსე დარბაზს თვალი შეაჯაჭო, ამაში ყველა დარწმუნდა. აბა გავიხსენოთ, დროდადრო როგორ ტკივილამდე მოგვენატრება ხოლმე დუდუკის ჯადოხმა და მაშინ უმალვე იმ ადგილს მივაშურებთ, სადაც ღვინო, მრავლად ისმება და მწვადთან ერთად საარის შეკვეთასაც ვაძლევთ ხოლმე. ასე არ არის?! ჰოდა, აბა ამიტომაც სულ სხვა გარემოში, სცენის ნათურებსა და ნელსაცხებელთა სურნელებაში ყველას უნდოდა გაეგო დუდუკი რა იერსა და ყაიდის მიიღებდა.

კეთილი სიტყვითა და მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების თბილისის საქალაქო გამგეობა ამ საღამოს მოწყობისათვის — თბილის-ქალაქის ძველ მკვიხოვნეთა და დარაჯთა კვთილ საქმეთა სწორი რამ განუზრახავთ და

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: მედუდუკეთა ანსამბლი „სოინარი“, მარცხნიდან — მ. ბებერაშვილი, გ. ქსოვრელი (ხელმძღვანელი), ვ. არჩვაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ადამაშვილი, ა. ძიძიგური.

ფოტო Ა. ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲫᲘᲡᲐ.

სცენაზე დადის ნიკალა...

„ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲘ“ — ᲒᲝᲠᲘᲡ Გ. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲜᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ

ᲒᲝᲠᲘᲡ გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრი ერთ-ერთი უძველესი თეატრია საქართველოში, როგორც რეჟისურის, ისე აქტიორული ხელოვნების დარგში, მას საუცხოო ტრადიციები აქვს, რასაც ახლანდელი დასი შემოქმედებითად აგრძელებს და აკეთებს. ამის დასტურია გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანის“ დადგმა გორის თეატრის სცენაზე.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა გ. აბრამიშვილმა შექმნა ფერადოვანი და ხატოვანი სპექტაკლი. საყურადღებოა, რომ სპექტაკლზე მუშაობისას მან ყურადღება გაამახვილა არა მარტო ფიროსმანის ჰირად ცხოვრებაზე, არამედ იმ სოციალურ ყოფაზე, რომელმაც განაპირობა მისი ტრაგედია. რეჟისორმა დიდი ყურადღება დაუთმო აგრეთვე მოქმედ პირთა ხასიათების, მათი ფსიქოლოგიისა და ზნეობრივი თვისებების გამოკვეთას. იგი მაქსიმალურად იყენებს მხატვრობას, მუსიკას, რითაც სპექტაკლში ქმნის მართალ ატმოსფეროს, ყოველივე ამას კი იყენებს მსახიობისათვის.

როდესაც სპექტაკლის წარმატებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი მხატვრული გადაწყვეტა, რომელიც ერთ-ერთი საწინდარი გახდა სპექტაკლის გამარჯვებისა. საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა შ. ხუციშვილმა შექმნა ფიროსმანის შემოქმედებისა და მისი ეპოქის შესატყვისი მეტყველი დეკორაცია.

ნიკო ფიროსმანაშვილის როლის განსახიერება მსახიობისაგან დიდ ოსტატობას და ღრმა ფსიქოლოგიურ აზროვნებას მოითხოვს. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის სერგო ტატალაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შესანიშნავად გაართვა თავი ამ ღრმა ფსიქოლოგიურ



ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: სცენა გორის თეატრის სპექტაკლ „ფიროსმანიდან“. ფიროსმანი (ზის) — ს. ტატალაშვილი, მეკიტანი — შ. ხერხეულიძე.

ფოტო მ. ᲑᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ.

და დრამატიზმით აღსავსე როლს. რით აღწევს მსახიობი ამას? კარგი გარდასახვის უნარით, გულწრფელი თამაშით, როლის ფსიქოლოგიის სიღრმეში წვდომითა და სწორი ანალიზით. მსახიობს ლოგიკურად მიჰყავს როლის თანდათანობითი განვითარება. პირველ სურათში ტატალაშვილმა წარმოგვიდგინა სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე, თბილისის მოტრფიალე, მამაცურობით ეპატაჟებული მეოცნებე ჭაბუკის სახე. შემდეგ სურათში იგი დიდი გზნებითა და ემოციით თამაშობს ფიროსმანის სულში ახალი გრძნობის შეპრას. მაყურებლის წინ დგას სიხარულითა და ბედნიერებით აღსავსე ჭაბუკი და გზამთ მისი. მსახიობი დამაჯერებლობით გადმოგვცემს აგრეთვე მარგარიტასთან დაცილების სცენას. დგას ნიკალა მოტყუებული, მიტოვებული და დამცირებული. ეს არის ის წუთი, რამაც პირველად შეარყია ფიროსმანის სულიერი სამყარო და წარუშლელი კვალი დაიჩნია მის შემდგომ ცხოვრებას. ცხოვრების უსამართლობა ამით არ დამთავრებულა. ნიკო ფიროსმანაშვილის სულიერ ტკივილებს, მის ტრაგედიას საერთოდ დიდი ფერადოვნებით გადმოგვცემს მსახიობი.

მეორე და მესამე მოქმედებაში ს. ტატალაშვილმა გვიჩვენა გარდასახვის საუცხოო უნარი და დამაჯერებლად, საუკეთესო აქტიორული ოსტატობით გვიჩვენა ადამიანისა და ხელოვანის ტრაგედია რევოლუციამდელ ეპოქაში.

ფრანგი მოცეკვავე ქალის მსუბუქი, ჰაერივანი სახე შექმნა მსახიობმა ფ. ფულარიანმა. ლადი, მსუბუქი იუმორითა და ლამაზი ფერებით გამოირჩევა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. ზალდასტანიშვილი მადამ ლილის როლში. ქართველი კაცის კეთილშობილ ულ ბუნებას წვეული ოსტატობით ძერწავს რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. ხერხეულიძე.

კოლორიტული სახეები შექმნეს ქ. ბოჭორიშვილმა, ო. დათუნაშვილმა, ლ. მცხეთელმა, ვ. ჯაზნიაშვილმა, ქ. გაბელიამ, ვ. ხაჩიძემ, ან. გვაძაბიამ.

სპექტაკლში ყურადღებას იპყრობს ლ. ოზგებაშვილის, ვ. მარსაგიშვილის, არ. მუშაშვილის ნაღვლიანი ნათქვამი, ღიღის საარი ჭარს აღარ მოაქვსო, წარსულის გახსენებად დარჩენილიყოს. და კიდევ ერთი გვინდა მოვიგონოთ — წინათ მედუდუკეთა ჯგუფს დასტას ეძახდნენ, აბა რით არის დასტა ანსამბლზე უარესი, განა ვეფხვს სხვა სახელი რომ შევარქვათ, ვეფხვობას ვეღარ იზამს, განა ცუდად ეღერს მედუდუკეთა დასტა „სოინარი“?!

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო მცირე დარბაზში მედუდუკეთა ანსამბლ „სოინარის“ შემოქმედებითი საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ Ო. ᲑᲘᲠᲓᲘᲛᲐ, ანსამბლის შემოქმედებითი გზის შესახებ მოხსენება წაიკითხა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების თბილისის საქალაქო გამგეობის თავმჯდომარემ Ჯ. ᲗᲝᲥᲐᲠᲘᲫᲔ. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები Ვ. ᲐᲜᲯᲐᲠᲘᲫᲔ, Ო. ᲡᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, პოეტი Ო. ᲩᲜᲝᲕᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს დამსახურებული ექიმი Ა. ᲑᲐᲠᲜᲝᲕᲘ, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე Ვ. ᲙᲝᲛᲝᲪᲘᲢᲝᲠᲘ Მ. ᲩᲘᲠᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ანსამბლმა „სოინარმა“, კომპოზიტორმა ს. მირიანაშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ბ. საკპრაძემ, Ო. ᲨᲐᲚᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, Ე. ᲨᲐᲮᲑᲐᲠᲘᲫᲔᲡᲐ, Ვ. ᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ Ს. ᲨᲐᲚᲐᲛᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა Ო. ᲓᲘᲡᲚᲐᲒᲘᲫᲔᲡᲐ და რ. ᲨᲐᲠᲐᲕᲐᲫᲔᲡᲐ, საქართველოს სალხურ ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის ვალერ ჯაკუშმა.

Ზ. ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: მედუდუკეთა ანსამბლი „სოინარი“, მარცხნიდან — მ. ბებერაშვილი, გ. ქსოვრელი (ხელმძღვანელი), ვ. არჩვაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ადამაშვილი, ა. ძიძიგური.

ფოტო Ა. ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲫᲘᲡᲐ.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

Ბ. ᲙᲣᲚᲐᲙᲝᲕᲐᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲝᲥᲠᲝ

ᲡᲐᲞᲝᲠᲝ, 9 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ. ვ. დვორცოვი, ა. სტარობდუბი). საბჭოთა ოლიმპიელებმა მიერ მოპოვებული ოთხი ოქროს მედლიდან, ორი **ᲒᲐᲚᲘᲜᲐ ᲙᲣᲚᲐᲙᲝᲕᲐᲡ** „პირად ანგარიშზეა“. მეორე წარმატება 29 წლის იუვენალემა მასწავლებელმა მოიპოვა 9 თებერვალს, როცა ბრწყინვალედ მოიგო სათხილამურო რბოლა 5 კილომეტრზე — 17 წუთი და 00,50 წამი.

წილისყრა გალინას საწინააღმდეგო იყო. იგი დისტანციაზე გავიდა ძირითად საზღვარგარეთელ მეტოქეებზე — ფინელ მ. კაიოსმაასა და ჩეხოსლოვაკელ მოთხილამურე ჰ. შიკოლოვაზე ადრე, აგებდა მათთან უკანასკნელ კილომეტრამდე და საბოლოოდ, მაინც გაიძარჯვა! კონკურენტებმა ამოწურეს სიჩქარის მარაგი, კულაკოვამ კი გამოინახა ძალ-ღონე ძლიერი ფინიშისათვის.

კაიოსმაამ ვერცხლის მედალი მოიპოვა — 17 წუთი და 05,50 წამი, შიკოლოვამ — ბრინჯაოსი — 17 წუთი და 07,32 წამი. შიკოლოვასთან სამწუხაროდ რვა მეასედი წამით წააგო გორკელმა ვ. ოლიუნინამ — აი ვის უმტკუნა წილისყრამ!

ესოდენ ხასიათ

ული ᲗᲐᲛᲬᲣᲮᲘᲡ მხარი ვერ აუბეს ჩვენმა მოცეგრაველებმა. 1.500 მეტრზე რბოლაში ძხოლოდ მეექვსე ადგილზე გამოვიდა 28 წლის ლენინგრადელი ნ. სტატკევიჩი.

გაიმარჯვა ახალგაზრდა ამერიკელმა **ᲓᲘᲐᲜᲐ ᲰᲝᲚᲛᲡᲛᲐ.** — 2 წუთი და 20,85 წამი. ასეთ შედეგს არავინ არ მოელოდა. ვერცხლი და ბრინჯაო მოიპოვეს ჰოლანდიის გუნდის ვეტერანებმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა 33 წლის სტინ ბაას-კაიზერმა და 33 ხლის ატეე კეილენ დეელსტრამ.

მსროლელ მოთხილამურეთა (ბიატლონისტთა) შორის პირველი, ისევე როგორც გრენობლში, იყო ნორვეგიის ქალაქ ტრონჰეიმის პოლიციელი **ᲑᲐᲜᲐᲠ ᲡᲚᲝᲑᲔᲠᲒᲘ.** მან ოცი კილომეტრი ტრასა გაიარა 1 საათში, 15 წუთსა და 55,50 წამში. მხოლოდ ორჯერ აცდინა ნორვეგიელმა მეორე და მესამე საცეცხლე ზღუდეზე (ორი საჯარიმო წუთი). ვერცხლს პრიზიორია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ჰანსიორგ კნაუტე, ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა შვედ ლარს-ერან არვიდსონს. ა. ტახონოვი მეოთხეა, ვ. შამაროვი — მეშვიდე, ოლიმპიადის დებიუტანტი ი. ბიაკოვი მეთორმეტე, ლენინგრადელი რ. საფინი — მეცხრამეტე, — პირველად ოლიმპიადებზე საბჭოთა ბიატლონისტები უმედლებოდ დარჩნენ ინდივიდუალურ რბოლაში, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირის ადმინისტრაციული საბჭოს წევრმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ნოვიკოვმა, რომელიც შეჯიბრებებს ესწრება.

ფიგურისტები ამთავრებენ სპორტულ დღეს, მედლების ორი კომპლექტი უკვე განაწილდა. ჩემპიონები გახდნენ: წყვილთა ახპარეზობაში — **Ი. ᲠᲝᲓᲜᲘᲜᲐ** და **Ა. ᲣᲚᲐᲜᲝᲕᲘ** (სსრ კავშირი) და **Გ. ᲨᲣᲑᲐ** (ავსტრია). ვინ მოიპოვებს ოქროს მედალს ვაუთა ერთეულებში? ამას გადაწყვეტს გამოსვლები ნებისმიერი პროგრამით. ჯერჯერობით კი სავალდებულო პროგრამის შემდეგ წინ არის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ᲝᲚᲓᲠᲘᲩᲘ ᲜᲘᲙᲐᲚᲐ** (ჩეხოსლოვაკია).

გრძელდება ᲞᲝᲪᲘᲔᲚᲘᲡᲢᲝᲗᲐ დიდი ტურნირი. გუშინ მეორე გამარჯვება მოიპოვეს შვედებმა. მათ დაამარცხეს პოლონეთის გუნდი 5:3. ყურადღებას ცენტრში იყო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთა შეხვედრა. წარმატება სსრ კავშირის ნაკრებს ხვდა — 7:2.

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲝᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡᲗᲐᲜᲘ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ

(არაოფიციალური ჩათვლა. 10 თებერვლისათვის)

	ოქრო	ვერცხ.	ბრინჯ.	IV	V	VI	ქულა
სსრ კავშირი	4	3	1	3	2	5	65
გდრ	3	3	4	1	1	2	59
ნორვეგია	1	3	4	3	2	1	52
პოლანდია	3	2	1	2	1	1	44
შვეიცარია	3	1	1	1	—	1	34
გფრ	2	1	—	1	5	2	34
ფინეთი	—	2	1	2	4	2	30
შვეცია	1	1	2	2	—	2	28
ავსტრია	1	2	2	—	—	—	25
აშშ	1	—	2	2	—	—	21
იაპონია	1	1	1	—	2	—	20

ᲩᲘᲓᲐᲝᲒᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო მატჩი თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ჩვენმა ათლეტებმა 7:1. ორ წონაში ამერიკელებს მოჭიდავე არ გამოუგზავნიათ. საქართველოს ნაკრებედან წარმატება ვსდათ — ზ. შამქრელაძის, ბ. ალიბეგაშვილს, ბ. ᲧᲐᲠᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, Კ. ᲗᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, Ლ. ᲗᲝᲓᲝᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, Თ. ᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐᲡ, Რ. ᲛᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ. ამერიკელებიდან გაიმარჯვა Დ. ᲛᲘᲜᲘᲑᲚᲘᲗ.

ᲐᲛᲮᲔᲠ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ გამოდის საკავშირო ჩემპიონატზე უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაუთა გუნდებს შორის ლენინგრადის „სპარტაკი“. მორიგი შეხვედრა სპარტაკელებს საკუთარ მოედანზე ჰქონდათ 8 თებერვალს კიუნასის „ეკალგრინისთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 70:60.

ამრიგად, „სპარტაკმა“ ათი თამაშიდან ათივე მოიგო და 10 ქულით განაგრძობს ლიდერობას.

ᲙᲘᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 9 თებერვალი. (საკდესი). ბრიტანეთის კუნძულებზე მეორე მატჩში კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1 (2:0) დაამარცხეს „შეფილდ იუნაიტედი“, რომელსაც აქვანამდე მეშვიდე ადგილი უკავია ინგლისის პირველობის გათამაშებაში. კიეველთაგან ბურთებს გაიტანეს დოკენკომ და კოლოტოვმა.

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲕᲘᲜᲓᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ამინდი შედარებით გამოკეთდა. ცა მოიწმინდა, რიონის ხეობაში შტორმული ქარის სიძლიერე შესუსტდა, **ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ** დღისით დათბა, ყინვები არსად არ ყოფილა, **ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ** ყველგან თოვლი დევს ქართლსა და კახეთში ტემპერატურამ დაიწია, ბარში აღინიშნა 4-8 გრადუსი ყინვა.

ᲮᲣᲗᲨᲘᲜ, 12 საათზე ჩვენს დედაქალაქში იყო 7 გრადუსი ყინვა.

ᲓᲦᲔᲡ, 10 თებერვალს, **ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ** მოსალოდნელია უნალექო ამინდი, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 7-12 მეტრი სიძლიერის ქარი. ტემპერატურა ბარში დღისით 3-8 გრადუსი სითბო, ღამით 2-6 გრადუსი ყინვა, მთაში ნული, 5 გრადუსი ყინვა, ღამით 10-15 გრადუსი ყინვა.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘᲪ უნალექო ამინდი იქნება, ზოგან ნისლი, ტემპერატურა ბარში დღისით 3-8, ღამით 14-19 გრადუსი ყინვა, მთაში დღისით 8-13, ღამით 20-25 გრადუსი ყინვა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ დილით ნისლი, ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით 3-5 გრადუსი ყინვა, ღამით 14-16 გრადუსი ყინვა.

ᲚᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ

გარდაიცვალა გადამდგარი პოლკოვნიკი **ᲚᲝᲜᲓᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡᲫᲔ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ,** სკკპ წევრი 1941 წლიდან.

ლ. ერისთავი დაიბადა 1902 წლის 4 ნოემბერს ონის რაიონის სოფელ სევაში.

1924 წელს დაიწყო სამხედრო სამსახური წითელი არმიის რიგებში წითელარმიელად და განვლო სახელოვანი საბრძოლო გზა ოციათი მებრძოლიდან სარტალერიო ბრიგადის მეთაურამდე. მონაწილეობდა ფინეთის კამპანიაში. აქტიურად მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში სამხრეთ-დასავლეთი ს, სტალინგრადის, ბელორუსიის, პირველ და უკრაინის მეორე ფრონტებზე პოლკისა და ბრიგადის მეთაურის თანამდებობაზე, იგი თავისი პირადი მაგალითით საკმირო სკმეგებისათვის აღაფრთოვანებდა ხელქვეითებს.

სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა ლ. ერისთავის საბრძოლო დამსახურებას, იგი დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, სამი წითელი დროშის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენითა და ათი მედლით.

დამსახურებულ დასვენებაზე რომ წავიდა 1956 წელს, ლ. ერისთავი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე განუწყვეტლივ ეწეოდა დიდ მუშაობას მოზარდთა თაობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის. იგი იყო ოფიცერთა თბილისის საოლქო სასლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების სექციის, დიდი სამამულო ომის ვეტერანთა თბილისის სექციის წევრი, ქ. თბილისის ორკონიკიძის რაიონულ სამხედრო კომისარიატთან არსებული ხელშემწყობი კომიტეტის თავმჯდომარე და უნარიანად გადასცემდა მომავალ შეომრებს თავის მდიდარ გამოცდილებასა და ცოდნას.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, გულისხმიერი მამხანაგის ლ. ერისთავის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

10 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

11.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი — „კუალშოვის ეფექტი“, 12.00 — ფერადი ტელევიზია. „ზამთრის XI ოლიმპიურ თამაშებზე“ (გადმოცემა იაპონიიდან), 13.30 — მხატვრული ფილმი — „კანონრ დოოასის თავგადასავალი“ (მეორე სერია), 17.05 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.50 — ბავშვებისათვის. მოკლემეტრაჟიანი ფილმები. „ზღაპარი თურქზე“ და „ზღაპრულ ტყეში“, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „სსრკ-50“. „საბ